საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-137
2013 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის №2-85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის №2-85 ბრძანებაში (ვებგვერდი, სსმ, №50, 27/04/2009 სარეგისტრაციო კოდი 010.240.030.22.032.013.019) და ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,“;

გ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის თანდართული დებულება“.

2. ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის დებულებაში“ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დებულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის დებულება“;

ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) წარმოადგენს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.“;

გ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები

დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) მეცხოველეობის, მემცენარეობის, მეთევზეობის, ქვეყანაში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების და რეგიონალური განვითარების თაობაზე პოლიტიკის შემუშავება;

ბ) რეგიონებში აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა;

გ) სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, ფერმერთა და აგრომეწარმეთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

დ) სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების, მანქანათა გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის ოპტიმალური ფორმების შემუშავება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა და საქმიანობის კოორდინაცია;

ვ) დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება“.

დ) დაემატოს 3^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3^1. დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფები

დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) დარგობრივი განვითარების სამმართველო;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველო;

გ) რეგიონებთან ურთიერთობისა და ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სამმართველო;

დ) სურსათის უვნებლობის სამმართველო.“

ე) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დეპარატამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციები

1. დარგობრივი განვითარების სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მემცენარეობაში, მეცხოველეობაში და მეთევზეობაში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება-დამუშავება და დარგის განვითარებისათვის ეფექტური რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და რეგიონული განვითარების თაობაზე პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა;

გ) სოფლის მეურნეობის ცალეკეული დარგების მიხედვით ფერმერთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება;

დ) სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, ფერმერთა საკონსულტაციო მომსახურების სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა და საქმიანობის კოორდინაცია;

ვ) სოფლის მეურნეობაში ცალკეული მიმართულებების განვითარების პროგრამების შემუშავება, შესაბამისი აგროკლიმატური პირობებისა და მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით;

ზ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

თ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მეთესლეობის სისტემის და სარგავი მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

ი) მეცხოველეობისა და თევზის სანაშენე საქმის განვითარების ხელშეწყობა;

კ) დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ლ) სამმართველოში შემოსულ ოფიციალურ კორესპონდენციებზე, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირება;

მ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) აგროსაინჟინრო პოლიტიკის შემუშავებისათვის სათანადო წინადადებების მომზადება;

ბ) ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოკვლევა და ანალიზის ჩატარება მათი ნომენკლატურის, რაოდენობისა და ეფექტური ფუნქციონირების დადგენის მიზნით;

გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ და შესანახ საწარმოებში არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობების მოკვლევა და ანალიზი, მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

დ) მოწინავე აგრარულ ქვეყნებში აპრობირებული მაღალეფექტური სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება ფერმერებისათვის;

ე) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი გადამამუშავებელი და შესანახი საწარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა-განახლების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ვ) ფერმერებისა და მიწათმოსარგებლების ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფის არსებული სისტემის ფორმირებისათვის, მუდმივად განახლების რეჟიმში, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ზ) თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის მიზნით ბუკლეტების, ბროშურების და საინფორმაციო მასალების/რეკომენდაციების მომზადება ფერმერთა და მიწათმოსარგებელთათვის;

თ) სახელმწიფო და კერძო აგროსაინჟინრო სერვისცენტრებისა და ამხანაგობების ეფექტური მუშაობისათვის სათანადო რეკომენდაციების მომზადება და ხელშეწყობა;

ი) რეგიონალური ექსტენციის ცენტრებისათვის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მეთოდური რეკომენდაციების მომზადება და ხელშეწყობა, მაღალკვალიფიციური მექანიკოს-ოპერატორების მომზადების მიზნით;

კ) დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შესახებ სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის პერიოდული ანგარიშების წარდგენა;

ლ) სამმართველოში შემოსულ ოფიციალურ კორესპონდენციებზე, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირება;

მ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. რეგიონებთან ურთიერთობისა და ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) კანონით დადგენილი წესით რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს რეგიონებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი, განვითარების შემაფერხებელი ძირითადი პრობლემებისა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, რეკომენდაციების მომზადება და რეგიონებთან კოორდინირებული საქმიანობა;

გ) შესაბამის უწყებებთან და სპეციალისტებთან ერთად, რეგიონებში აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ ინფორმაციის მომზადება და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილ საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა

და საქმიანობის კოორდინაცია;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის უწყებებთან და სპეციალისტებთან ერთად რეგიონების განვითარების პროგრამების, სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სასოფლო- სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარების წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული რეგიონული საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია და მიმდინარეობის მონიტორინგი;

თ) საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის უწყებებთან და სპეციალისტებთან ერთად რეგიონებში მცირემიწიან ფერმერთა კოოპერირების პროცესის ხელშეწყობა;

კ) მუნიციპალიტეტებში სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებთან კოორდინაცია;

ლ) სამმართველოში შემოსულ ოფიციალურ კორესპონდენციებზე, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირება;

მ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. სურსათის უვნებლობის სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) ქვეყანაში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რეფორმების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

გ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება ან/და შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

დ) სამმართველოს უფლებამოსილების ფარგლებში შემავალ საკითხებზე, არსებულ საერთაშორისო აქტებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, წინადადებების მომზადება;

ე) კრიზისული მდგომარეობის მართვისა და საგანგებო ზომების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ვ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მეთოდური რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლობო, სამეცნიერო და მომხმარებელთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან კოორდინირებული საქმიანობა;

ი) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

კ) კომპეტენციის ფარგლებში დარგობრივი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ლ) მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჯანმრთელობისათვის აუცილებელი, დეფიციტური ინგრედიენტებით (მიკროელემენტებით, ვიტამინები და სხვა) სურსათის გამდიდრების (ფორტიფიცირების) მიზნით პროგრამების შემუშავებაში და მის განხორციელებაში მონაწილეობა, მათი დაძლევის შესახებ წინადადებების შემუშავება;

მ) სამმართველოში შემოსულ ოფიციალურ კორესპონდენციებზე, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირება;

ნ) დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესახებ ანგარიშის წარდგენა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **შალვა ფიფია**